

ქართველებო, დავერიოთ... ერთმანეთს!..

კ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ა - კ ა მ ფ ლ ე ბ ი

მძსცნსების სათვალავი აგვერია,
„აირიბ ივერია“, ღმერთმანი!..
დრო ვიხელთოთ — უფრო ხშირად
დავერიოთ,
ქართველებო, დავერიოთ... ერთმანეთს!..

ცილი ვსწამოთ, პირში სული ამოვხადოთ,
მივეპაროთ, ზურგში ჩავსცეთ ბებუთი!..
ლაფში ვსვაროთ, შეურაცხვეყოთ,
ვლანძლოთ, ვთათხოთ,
ვაგინოთ და ვათახსიროთ ერთურთი!..

ვიკლოუნოთ ზემკლავ-წინმკლავ-
-უკუმკლავით,
ვიპროტესტოთ შიმშილობით
მზრალ-სველით!..

ვიწიოკოთ, ვიწვრილმანოთ, ვიკინკლაოთ,
საძმებს აღარ დავაყენოთ საშველი!..

სალოცავი ჩვენი ჩვენვე დავანგრიოთ,
ხატი ჩვენი ფეხქვეშ ჩვენვე გავთელოთ!..
ჩავუხაფრდეთ, ჩავუხტეთ და დავარბიოთ...
ერთმანეთი დავარბიოთ, ქართველებო!..

ვიქცეთ ეგოისტებად და ნარცისებად,
ჩავიხარშოთ შურის შხამში, ბოღმაში!..
დავივიწყოთ ღვთაებრივი ათი მცნება,
შევიძულოთ, მოვიკვეთოთ მოყვასი!..

გავპირუტყვდეთ — გავიწყვიტოთ ძარღვი
შუბლის,
ურთიერთი დავგესლოთ და დავცოფოთ!..
დალატსა და მზაკრობაში, ჩხუბში, შუღლში
შევეჭიბროთ ურთიერთს და... ვაჭობოთ!..

კარგ ყმად — ცუდი და გმირად ვსთქვათ
არაგმირი,

სიმართლე და სამართალი ავლაგმოთ,
გავამეფოთ ქაოსი და ანარქია,
გავაჩალოთ ომი სამოქალაქო!..

სულ ერთურთის მტრობასა და ქიშპაში
ვიყოთ,
სულ ერთურთში ვიდაოთ და ვიცილოთ,

სულ ერთურთზე ვიჭორაოთ, ვიქილიკოთ,
ვიხითხითოთ, ვიხარხაროთ, ვიციწოთ!..

ჩვენი გმირი წინაპრებით ვიტრაბახოთ, —
მუდამ მტრულად რომ ხვდებოდნენ მტრის
ურდოს!..

ჩვენ კი დავდგეთ — ვიბანდიტოთ,
ვიყაჩალოთ,
ვიშანტაყოთ, ვიტეროროთ, ვიქურდოთ!..

ჩირქი მოვსცხოთ და ვუმზიროთ ერთურთს
ზიზღით,
თან უშვერი სიტყვებითაც მივმართოთ!..
ვუორგულოთ, ჩავუქციოთ ტვინში სისხლი
და გულები დავუმაკროინფარქტოთ!..

ერთმანეთი მოუთხრელი არ დავტოვოთ,
მთლად დავკარგოთ სინდისი და ნამუსი!..
გავითიშოთ, დავიყოთ და... ვაბატონოთ,
დამპყრობელი ვაბატონოთ მამულში!..

გზა არ მივსცეთ ერთმანეთის ნიჟს, ფართო,
კიდევ უფრო გავიშავოთ შავი დღე!..
ყველაფერი, ყველაფერი ვიკადროთ,
ყველაფერზე, ყველაფერზე წავიდეთ!..

არ ვისწავლოთ, არ ვიწრომოთ —
გავიბღინძოთ


და ვიძახოთ: „მომავალი ჩვენია!“
აწმყოთი კი მთელ მსოფლიოს დავუმტკიცოთ,
რომ ნამდვილად „ბედნიერი პირი“ ვართ!

ჩვენი თავი ჩვენ თვითონვე დავიღუბოთ,
გასახარად მოსეული მტრებისა!..


ჩქარა, ჩქარა, ჩქარა გავათავისუფლოთ
საქართველო... ჩვენგან —
ქართველებისგან!

ექსცესების სათვალავი აგვერია,
„აირიბ ივერია“, ღმერთმანი!..
სანამდე ვართ, დავტრიალდეთ — დავერიოთ,
ქართველებო, დავერიოთ... ერთმანეთს!..

ჯაურ ბოლქვაძე



Открытое письмо редакции журнала „крокодил“



В февральском номере (№ 4) Вашего журнала, под рубрикой «Легенды, сказки», Вы напечатали рисунок Г. и В. Караваевых на тему стихотворения Лермонтова — «Тамара». Караваевы «переосмыслили» и «осовременили» на свой манер стихотворение поэта, используя его в качестве материала для создания злобного и пошленького рисунка, снабженного столь же непристойной, сколь и прозрачной подписью. Совершенно ясно, что мы имеем дело с явным желанием с Вашей стороны оскорбить наше национальное чувство, обхамить нас, как это делают, — причем довольно часто, — Центральное телевидение, радио и пресса, и тем самым внести свою лепту в широко развернутую Кремлем в последние годы (т. е. с тех пор, как Грузия стала проявлять непокорность Центру) антигрузинскую кампанию. Ну что ж, самодержцы всегда высоко ценили лизоблудие верноподданных и можете быть уверены, что этот хамский выпад, направленный против нас, запишут в Ваш актив.

Ну, а мы что? Как нам парировать Ваш выпад?

Даже, если бы мы пали так низко, что захотели бы на оскорбление ответить тем же, то оказались бы перед неразрешимой задачей: найти в истории России царицу, кем бы русские гордились так, как гордятся грузины Царицей Тамар; кого уважали бы и почитали русские так, как мы уважаем и почитаем Царицу Тамар; кто был бы причислен к лику святых, как царица Тамар и, наконец, неуважительное отношение к которой, с нашей стороны, так же задело и оскорбило бы Вас, как были оскорблены и задеты мы Вашей провокационной выходкой.

Что касается собственно стихотворения «Тамара», то в этой связи хочется заметить следующее: создавая его, Лермонтов, в отличие от Вас, вряд ли хотел охаять нашу историю, нашу святыню. Будучи поэтом-романтиком и оказавшись в экзотическом краю легенд и преданий, захотелось, видимо, ему создать жгучий образ эдакой «кавказской Клеопатры» и выбрал для этого самую популярную и легендарную, на Кавказе, лич-

ность Царицы Тамар, нисколько не заботясь об этической стороне и исторической достоверности своего поэтического замысла. Очень может быть, что в этой его беспечности (в вопросе этики) определенную роль сыграло изначально закодированное в сознании подавляющего большинства (даже самых лучших) представителей метрополия высокомерное пренебрежение к ценностям «малых» народов, подпавших под сапог самодержавия. Скорее всего так оно и было; во всяком случае у нас к поэту нет больших претензий, тем более, что пожелай он создать образ «северной Клеопатры», ему пришлось бы туго, несмотря на то, что окинув своим острым взором родную историю, легко смог бы найти там не одну «интердевушку» в лице некоторых русских цариц и, в первую очередь, в лице монументальной Екатерины II. Но Михаил Юрьевич не мог не сознавать, что никакие романтические краски не скрыли бы элементарной скотской сущности этой коронованной особы, и поэтому мог отказаться от этой затеи. И вот, сам того не зная, через полтора столетия подкинул «Крокодилу» тему для подленького рисунка.

Мы, конечно могли бы тоже нарисовать одну из Ваших цариц, выкидывающей мужиков из окна своей спальни, или, — что выглядело бы более впечатляюще, — показать, как Великая Екатерина II выбрасывает с балкона царскосельского дворца не своих фаворитов: Потемкина, Понятовского или Орлова, а... орловских жеребцов.

Мы ничего такого не рисуем. У нас, художников и авторов журнала «Нианги» другие принципы, как творческие, так и нравственные. И еще, это значило бы, что мы проводим параллель с Царицей Тамар, что было бы в свою очередь неслыханным кощунством. А то, что Вы сделали, пусть останется на Вашей совести. Жаль только, что Вы нам дали повод написать Вам, нашим коллегам, собратьям по перу и карандашу (как мы до сих пор считали) это не-теплое письмо.

Джемал ЛОЛУА,
художник-редактор журнала «Нианги».

ექსტრემიზმი

- ცნობრება გვექცა წამებად!.. ომია, თან არც ომია!.. მიწას სხვა გვართმევს, თან არქმევს „სახბოთა ავტონომიას“!
- ვახანდი. ვაკეა მეთ. გავზარდეთ. ავტუიპტუიპეთ ქართულად. ბოლოს კვლავ ბრიუვი აღმოჩნდა. ჭერ კაცად არ მონათლულა!
- აძვეს სრასასახლე მალალი. ეზო. ბალი და ვენახი!.. „მავიწროებთო. შჩაგრაფთო!“ — აქეთ შეზობლებს გვეძახის!
- ვახანდი. ავახარისხეთ. ინტელიგენტად ვაქციეთ!.. გასუქდა. განზე გავვიდგა. მიმართავს პროვოკაციებს!
- ძარბულ სკოლაში ისწავლა. ანბანი გაითავისა!.. აქ არის, მაგრამ არ იცი. თავს ხად ამოყუფს გაიხად!
- უმადლესი არ ვაკმარეთ. ვაგემთ ასპირანტურაც!.. ცრუმეცნიერობს, ღვარძლს თესავს. წიგნად სცემს მკულატურას!
- ძარბული ატესტატი აქვს. სახელად მქვია ოთარი ცხელ ტუვის გვიშენს. აცვია ექსტრემისტების ბეგთარი!..
- სხელი გვექვს მამაპაპური. კავკასიური დეფარქვით! ბევრი სხვა რჯულიც აქ ცხოვრობს. სავებ ხვავით და ბარაქით! კვლავ ვაგებთ ტაძარს. მინარეთს და „მურიათა ბაგინებს“!.. ვიხაც თბილისი არა სწამს, საკუთარ დედას აგინებს!
- მათაც ეკირათ დაბები. სოფლები. მიწდორ-ველები!.. წავიდნენ, ჩვენ მზეს ფიცავენ ქართველი ებრაელები!
- ბეჭრმატ სიკეთე შეიშნო. აქ დარჩნენ ქურთონიც. ელები!.. გვეყავს აქა-იქა უჭიშოც — ბავშვებს დაგვიკრებს ყელები!..
- ვინ ქმა მოუკლეს. ვის — მამა და შეუგინეს ვის დები!.. არ დაგიდევენ კაცობას ალანი ექსტრემისტები!
- ანშა, როცა ბრმავედები. როცა სიხარბე გახელებს! თუ უმაღური აღმოჩნდი. დედის რძეც წამოგახველებს!

ელგუჯა მერაბიშვილი



უსიტყვოდ
ნახ. ბ. ზუბაშვილისა



ნახ. ზაქარია გიგოლაშვილისა
(გორის რაიონი, სოფელი უფლისციხე)

უსიტყვოდ

აოგაუთი — შავი ზღვისპირეთის საქვეყნოდ სახელგანთქმული ქალაქი-კურორტი, მრავალრიცხოვანი დასასვენებელი სახლით, პანსიონატით... საიდან არ ნახავთ აქ ჩამოსულ დასვენებელს — უკიდურესი ჩრდილოეთიდან თუ შორეული აღმოსავლეთიდან! არც უცხოელები არიან იშვიათნი — არ გვეგონოთ, ქალაქის კეთილმოწყობა და კომფორტი იზიდავდეთ მათ! იგი, ალბათ, ბოლო ადგილზე იქნება მსოფლიო კურორტებთან შედარებით ამ მხრივ, მაგრამ ბევრ სახელგანთქმულს არ ჩამოუვარდება ჰავით, ბუნებრივი პირობებით.

როცა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობაზე დავიწყეთ ფიქრი, მაშინ გაგვანსენდა ჩვენი კურორტები, იმის გამოთვლაც კი დავიწყეთ, თუ ჩვენი უნიათობით რამდენ სიმდიდრეს, უცხოურ ვალუტას ვკარგავთ. მაგრამ სანამ ამაზე ვიფიქრებთ, ის სჭობია, რაც გვაქვს, ისიც არ დავკარგოთ! უბრალოდ, **საკურორტო ქალაქში წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობა მოვაწესრიგოთ**.. თავისმა წვიმებში რომელიმე უცხოელმა რომ გაიაროს ქალაქის ქუჩებში და ნახოს დატბორილი გასასვლელები, ქუჩაში ტბორებთან მებძოლი ავტომანქანები და შეისუნთქოს ფეკალიის სუნი, დასასვენებლად ჩამოსვლაზე კი არა, ამ ქალაქის სახელსაც აღარ ახსენებს არსდროს!

ჯერ კიდევ შარშან, მისიშ, ქალაქის წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობის დირექტორი ერთი და იმავე შინაარსის წერილს 5 ზემდგომ უწყება-ორგანიზაციას უგზავნი. აი, ისინიც: **საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქმთავარწყალკანალი“**, საქართველოს კვლავულების რაიკომი, აჭარის ახსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, აჭარის ახსრ მინისტრთა საბჭოს კომუნალური მეურნეობის სამმართველო, ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი...

ქობულეთის წყალსადენ-კანალიზაციის მეურნეობის დირექტორი ზემოჩამოთვლილ უწყებებსა და ორგანიზაციებს ბუნქტუალურად აცნობებს ქალაქის წყალსადენ-კანალიზაციის რეკონსტრუქციის სამუშაოების მიმდინარეობაზე. აქ აღნიშნულია, რომ 1984 წელს დამთავრდა წყალსადენის სათავე ნაგებობის გაფართოება-რეკონსტრუქციის პირველი რივის სამუშაოები. მეურნეობას არ გააჩნია პროექტი და ხარჯთაღრიცხვა ჩატარებული სამუშაოებისა. სათავე ნაგებობის სატუმბო სადგურში უნდა დამონტაჟებულიყო სამი ცალი ტუმბო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ტუმბოების გაბარების გამო მათი გამართვა შეუძლებელი იყო. დამონტაჟდა ერთი ცალი. მეურნეობა დარჩა სარეზერვო ტუმბოს გარეშე. ახალი ტუმბოს დამონტაჟება კი მოითხოვს სულ ცოტა 7 დღეს. ამ პერიოდში კი ქალაქს არ ექნება წყალი. ღვიმდე გაურკვეველია ამ ტუმბოს მონტაჟის დრო და ექსპლუატაციაში გაშვების ვადა.

სამიდან არ მუშაობდა ერთი ტრანსფორმატორი. 12 კაბურღილიდან გაიშვა მხოლოდ 5. მათი დებეტი არ შეესაბამება საპროექტო მონაცემებს. დანარჩენი კაბურღილები დღესდღეობით არ არის მზად. ამიტომაც უმოქმედობით ზიანდება ძვირფასი სადენები და ტუმბოები, ზოგიერთი კაბურღილი კი ქვიშით ამოივსო!..

ასბოცემენტის 300 მმ დიამეტრის მილებიანი კოლექტორი საცხებით გაუმართლებელია, ხშირად გამოდის მწყობრიდან და უწყლოდ რჩება ქალაქის მეტი ნაწილი.

გაუმართლებელია ახალი წყალსადენის მუშაობაც. ორი პარალელური ხაზი ისე ახლოსა ერთმანეთთან, რომ დაზიანების შემთხვევაში მისი მუშაობა შეუძლებელია.

ქალაქის ტერიტორიაზე ჩაიწყო ნაწილი წყალსადენისა. აქაც ისე კეთდება, რომ მისი გამოყენება შეუძლებელი იქნება. ასბოცემენტის მილებით ხაზის გაგრძელება მიზანშეუწონელია კაობიანი გრუნტის და შალაღი წნევის პირობებში, ამასთან მილების ნაწილი ყოველად უხარისხია.

1984 წელს დამთავრდა აგრეთვე ქალაქის კანალიზაციის გაფარ-

თობა-რეკონსტრუქციის სამუშაოების პირველი რიგი და №3 სატუმბო სადგური, რომელიც არასწორადაა დამონტაჟებული, რაც იწვევს ტუმბოების ხშირ გამორთვის. უხარისხოდაა ჩაწყობილი საწნევეო ხაზები და კანალიზაციის წყლები იღვრება ტერიტორიის ზედაპირზე. განსაკუთრებით დაზიანებულია საწნევეო ხაზები ქალაქგარეთ, იგი არ ექვემდებარება რემონტს. ანალოგიური ხარვეზებით ჩაბარდა №2 ტუმბო. №1 ტუმბო კი ქალაქის ცენტრალურ ქუჩას ემსახურება. აქ დატული არ არის სათვალთვლო კეებისა და მილებების ჰიდროიზოლაცია, რის გამოც ადგილი აქვს გრუნტის წყლების ქსელში შექონვას და ამის გამო ჰერის მისი გადატუმბვას!..

კიდევ მრავალ ნაკლოვანებაზეა საუბარი. ასეთი შინაარსის წერილი წელოწადნახვერის წინ ჩაბარდა ადრესატებს. მანამდეც, ვინ იცის, რამდენჯერ გაიგზავნა მსგავსი შეტყობინებანი, მაგრამ შემსრულებელი არავინაა! წერილის მიღების შემდეგ ქობულეთის რაიონის ხაზბჭოს აღმასკომმა მიმართა მინისტრთა საბჭოს, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ტრებს „საქმშენის“ (უფროსი გ. ჩახვაცხე) ბათუმის 1-28 შობრავ-მექანიზებული კოლონა უხარისხოდ აკეთებს სამუშაოებს, რის გამოც საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტმა გაატარა შესაბამისი სანქციები, მაგრამ მდგომარეობა არ შეცვლილა. მოდიოდა პასუხები ზემდგომი ორგანოებიდან, მაგრამ გაკეთებით ძალიან ცოტა გაკეთდა. მდგომარეობა ვერც იმან შეცვალა, რომ „საქწყალკანალს“ აღნიშნულის გამო 40 ათასი მანეთი ჯარიმა გადაახდევინა საქართველოს ბუნების დაცვის კომიტეტმა.

დიდი გასაჭირი აქვს ზღვისპირეთის დაბა ჩაქვსაც, რომელიც ცნობილია ატმოსფერული ნალექების რეკორდული რაოდენობით. იგი ქალაქის ტიპის დასახლებაა, აქ ფუნქციონირებს ორი სამედიცინო დაწესებულება, საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ორი საშუალო სკოლა, ორი ტურბაზა, ერთი პანსიონატი, აშენებულია ათეულობით მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ორი ჩაის ფაბრიკა, პერსპექტივაში კი მრავალი სამკურნალო დასასვენებელი შენობის აგებაცაა გათვალისწინებული. ამჟამად აქ 11 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს და სასმელი წყლით მის მომარაგებას ემსახურება „საქსოფლწყალმომარაგების“ ქობულეთის სამმართველო. ამჟამად დაბა სარგებლობს 1932 წელს აშენებული წყალსადენით. მაშინ ჩაქვი პატარა სოფელი იყო. წყალსადენი ამორტიზებულია და ზოგჯერ იმის დადგენაც ჰერს, თუ სად გადის წყალსადენი მილი. მოსახლეობის დიდი ნაწილი, არცთუ იშვიათად, სასმელი წყლის გარეშე რჩება. ადრე წყალსადენს ჩაქვის ჩაის მეურნეობა პატრონობდა, როცა იგი ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა, „საქსოფლწყალმომარაგების“ წყალსადენიც მოიშალა. ჩაქვს ჩამოუდის მთის მდინარე ჩაქვისწყალი, საიდანაც 1200 მმ დიამეტრის მილებით წყალი მიდის ქ. ბათუმში. იგი მთლიანად სწევს მდინარის დებეტს, ამიტომაც მოსალოდნელია, რომ სასმელი წყლის ნატრული ხალხი მარტო ზღვის მლაშე წყლის ამარად დარჩეს! ამას დაემატა წყალსადენის მშენებლობით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები. მოსახლეობა შეშფოთებულია დაპირდნენ, მშენებლობა უკვე გასცდა დაბას, მაგრამ ჩაქვისთვის წყლის მიცემის არავითარი შანსი არ არსებობს! ჩაქვში, კარგა ხანია, პროექტით დამთავრებული უნდა იყოს წყალსადენის მშენებლობა, მაგრამ მისი ნიშან-კვალიც არ ჩანს ჯერ. ელოდება 11 ათას მაცხოვრებელი დაბა შესაბამისი ზემდგომი ორგანოების წყალობას! წყალობა კი არა, მდინარესაც ართმევენ!.. სწორედ მათ მდგომარეობაზეა ნათქვამი, წყალში დგას და წყურვილით იხრჩობა!

ქობულეთის და ჩაქვის გასაჭირი ხეროზულია, ამიტომაც ხეროზულად უნდა დაფიქრდნენ შესაბამისი ზემდგომი ორგანოები!

**შანი სინარულიძე
კაპური კაპულაძე**



— უაპატრავად, თგილისზე არის ეს ავტომატი?

ნახ. ვ. კუციასი

კვ

თანამედროვე ანდაზები

- **ვინც** პასუხისმგებელი პირი იყო, პასუხიც იმან აგოს და სასჯელიც იმან მოიხადოს!
- **გარდაქმნა** თუ ნებაყოფლობითია, უკეთესობისაკენ უნდა იყოს მიმართული!
- **სიცოცხლის** ღირსი მხოლოდ ის არის, ვინც ყოველდღე რიგებში დგომით მოიპოვებს მას!
- **საჯაროობას** თუ ჭარი იცავს, ის უკვე აღარ არის საჯაროობა!
- **იმდენჯერ** არ უნდა გარდაიქმნა, რომ თავდაპირველ სახეს დაუბრუნდე!
- **ვინც** მოსაგალს მოიყვანს, მომავალსაც ის მოიყვანს!
- **ხელშეკრულება** ხელფეხშეკრულებად არ უნდა გადაგვექცეს და ხელგაშლილობა — ხელგაშვერილობად!
- **დროშა** შეიძლება სისხლითაც იყოს გაწითლებული და სირცხვილითაც!
- **დაპანონავალი** უკანონობაც უკანონობა!
- **ვაი** იმ სხეულს, ვისი თავის უფლება და ხელის უფლება ერთმანეთს დაუპირისპირდებიან!

აკოლონ ბანილია

საგჟოთა კავშირის პრეზიდენტს

მშვიდობის, დემოკრატიის ვითომ დროშა გაქვს გაშლილი. გინდა, კვლავ „ააღორძინო“ საბჭოთა ხალხთა კავშირი! ერი ერს წაუხახინე, ვეღარ მოქაჩე ადვირი. შენი ბრძანებით უმანკო სისხლია ბევრგან დაღვრილი.. მოკავშირენი დაგშორდნენ, შენგან შრავალჭერ დევნილნი. კრემლი დაგრჩება საუფლოდ, დაქვე და მწუემხე ლენინი! პრეზიდენტობა გაგიტყბა (მდივნობას აღარ დასჭერდი!), დრო მოვა, მალე ხალხისგან არც შენ აგცდება სასჯელი!

ჯუღული კიკალიშვილი
(მარტვილის რაიონი, დაბა ბანძა)

ვეღარ გენდოვით!..


ნიმღარა კრეზიდენტზე

მოკრძალებულ საღამს გიძღვნი, ყოვლისშემძლე გორბაჩოვ! შენზე, როგორც პრეზიდენტზე, უნდა ითქვას „ყოჩაღო!“ შენს ხელშია დიდი „ცენტრი“. არმია და „ვრეშია“!.. ყველას უკვირს, რისთვის მოგცეს ის ნობელის პრემია?! გაქვებდნენ და გადიდებდნენ — მშვიდობისთვის ილტვისო!.. ცხრა აპრილი არ იკმარე, რბევა იწვევს ლიტვისო!.. ლიტვის მერე მკვლელები რომ მიუხიე ლატვიას, მსოფლიოში გახმაურდა შენი „დემოკრატია“! ჭერჭერობით შენმა ძალამ მართლა დახნა აღმართი — ხოცვა-ჟლეტა არ გვაკმარე, ბოლოს ფულიც წაგვართვი! შენი სიტყვით საბჭოეთში ყველა ჩვენი „ბრატია“. თან პირველმა დაგვიშკვიდრე ხიშტის დემოკრატია! იცი, თავისუფლებისკენ რომ მივიღტვით ოცნებით და წაგვიდე ძველი ძმები — აფხაზები, ოსები! თქვენმა ჯარმა რომ დაგვჩეხა (მართლაც მგავდნენ ნაღდ ფრიცებს), თუ დახაჯე ქალათები, როდიონოვს გაფიცებ?! ცხვარსაც არვინ ჩააბარებს შენისთანა დროის კაცს! შენი იყოს ის „გლახტნობიც“ და ის „პერენტროიკაც“!

მინამღარი

მსურს მოგაგონო კრილოვის იგავი — „ღორი მუხის ქვეშ“! ქართველი დღემდე არჩენდა თქვენებრ უმადურ-უღირსებს. ამბობდი: „ძმობა, ერთობა არისო ჩვენი მიზანი და ძმობის ნაცვლად, შე კაცო, თბილისში ტანკებს გვიგზავნი?! ვითომ მშვიდობის მომხრე ხარ, ვითომ ჩვენს ერთან ძმობილობ, თან გინდა, კრემლის დიდ ყულფში კვლავ თავი გაგაყოფინო!.. ურჩობის გამო გვემდური, ბრაზი და ბოღმა გიშლის გონს!.. შორს ჩვენგან რეფერენდუმი, ვეღარ გენდობით, მიშკო!“

ვანო ტინცაძე



**სტუმართმოყვარე
მართველს —
გაქსუაგული სტუმრისაგან**



მე არაფერი მესმის —
ოძელაშვილის ადლის,
არც ის, რა არის შენი
უბადალებული მადლი!

თუ მოვიდოდი სტუმრად,
სუფრას ვხედავდი გაშლილს.
შემთავაზებელი სკამს და
ძმას გააგდებდი კარში!

მწვადებს მაჭმევდი ცვრიანს.
წენ კი ხეთქავდი ქუმელს.
პოდა, რად გიკვირს; ძმაო,
თუ გეძახიან სულელს?!

მერე რა, თუ წყალს სვამდი,
მე კი მასმევდი შარბათს?!
წყალი შარბათზე უფრო
გსიამოვნებდა ალბათ!

რომ გააჩუქე მიწა,
მიც-მოციც ოხრად,
გეზარებოდა, ვატუობ,
მისი მოხვნა და თოხნა!

მე რას მამბრადებ, ნეტავ,
თავზე რომ ზეცა გაქუბს?!
ქერი გერჩია, ალბათ,
მე რომ მიჩრევდი თავთუბს!

შენ დედაჩემი გიუვარს
მშობელ დედაზე შეტად! —
ესაა შენი არსი —
რადას მამადლი, ნეტავ?!

არა, არ მესმის, არა,
ოძელაშვილის ადლის,
არც ის, რა არის შენი
უბადალებული მადლი!

გულში კაცი ყველას ხვობდა,
დღეს ის კაცი კაცუნაა!..
პრეზიდენტმა გორბაჩოვმა
ვირის წყალში აცურავა!

ვაი, ვაი!.. ვაი, ვაი! —
დღე დაგვიდა შავზე შავი!

ქვეყანაა ძაძიანი,
თავსაცემი, სატირალი!..
გაქრა ფული ასიანი
და ორმოცდაათიანი!

ვაი, ვუი!.. ვაი, ვუი! —
ჩვენ ვართ ხალხი — ურუზე ყრუ!

გულში ჩვენი ბოდმა უდევს,
თვალში ჩვენი წირბლები აქვს!..
ხელიდან ძვალს ვერ გაუგდებ
ძვლის დამღრღნელ ძაღლს — იმპერიას!

ვაი, ვაი!.. ვაი, ვაი!.. —
მას გაუზმეს ფშუკი თავი!

ღმერთი არ სწამს,
ხალხი არ სწამს,
არც სხვა იციხის გორბაჩოვმა,
ისვრის ტყვიებს და გრებს ბაწარს
ამ ებოქის დასახრობად!

ვაი, ვუი!.. ვაი, ვუი!.. —
არც თავი აქვს და არც გული!

გაქრა ჩვენი სიხარული,
გაქრა ჩვენი მსხვილი ფული!

რევაზ ლორია

ნუგზარ აფხაზაძე

საქრებულო მთავრად

ბელადის თავს,
პრიადის თავს,
სიურმიდანვე ხაფიცი თავს
და ქკუთი ფუთიანს —
ვანატავდით ათიანს,
კიდევ — ოცდაათიანს,
უფრო მაღალ ფასიანსაც:
ორმოცდაათიანსაც,
ასიანსაც!..
ჩამოთვლილიდან
ღენინისთავიანი
ორმოცდაათიანი,
ღენინისთავიანი ასიანი
(აღრუ, შედარებით, ფასიანი)

უცრად სამ დღეში
გაუფასურდა! —
ამ საქმეს ახალი პრემიერი
დაუფაცურდა!..
როგორც ყოველთვის,
არად ჩააგდეს ხალხი
ისე, კაცმა რომ თქვას,
ახია ჩვენზე, ახი!
კუპიურით ვიღაცა
ხიგარტს უკიდებს:
რას გააკეთებინებს
იმის თავს უკეთებს?!

თამაზ ებანოძე

მეტამორფოზა

ყველაზე თბილისი სხეული ერთად ერთიანდები!

საქართველო
საბჭოთაო

საბივიკელო ნიანგო! დიდი ხანია ვაპირებდი შენთვის წერილი მომეწერა. შემომეჩვილა ჩემი გულის დარდი და სატიკიერი, მაგრამ ვერა და ვერ ვებედავდი. ვფიქრობდი, ნიანგი დიდ მდინარეებთან და ზღვებთან დაბადებულ-გაზრდილია, მე კი პატარა მდინარე ვარ, ალბათ ვერც მიცნობს-მეთქი. თუმცა ხანდახან გულში გამიღვებდა: „მერე რა, რომ პატარა ვარ, წარსული სხვაზე ნაკლები არა მაქვს. შეუძლებელია ჩემზე არაფერი გაეგონოს-მეთქი“. პო, მართლა, **ლოკინი** გაწუხებ, პატივცემულო ნიანგო, პატარა მდინარე **ლოკინი**. ბევრმა, ვინც ისტორია არ იცის, იქნება ჩაიჭირებლოს კიდევაც, ნეტავი მაგას რა წარსული უნდა ჰქონდესო, რას მიედ-მოედებო.

ჰმ! დავით აღმაშენებლისა და გიორგი სააკაძის საქმენი საგმირონი ჩემი თვალთ მენახოს და სხვისა დასაიციო ვიყო, სამართალი აღარ არის?! აბა, ყველამ გაიხსენეთ, რას წერს დავითის ისტორიკოსი: „შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით და თანა შემოაყვანეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან, გაგზავნა მონათავანი თხოუმეტნი კაცნი რჩეულნი. რათა **ლოკინით** კერძო ნახირი მოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუ უკვე იგი თურქნი გამოვიდენ დევნად, და მოსწყვიდეს ამით ღონითა“ (ქცხ, I, გვ. 349). 1625 წელს კი, გიორგი სააკაძემ, აქ ჩემს ხეობაში რომ ნადირობდა, სპარსელი ჯაშუში დაიჭირა, რომელსაც საიდუმლო ფირმანი მოჰქონდა ყარჩხა-ხან სარდალთან. „და მოურავმაც ქართველთ უთხრა: „უაენს ამათთვის შათირი გამოგზავნაო. ის შათირი მე დავიჭირეო. ეს შე-მოუთვლიაო — კახათვის კარგა გიქნიაო, ახლა ქართლის კაცსაც იხე უყავიო. მოურავის პირობით ქართველნი შეიყარნენ, დაეხსნეს მარტყოფში, ნორიას, ხარების დამეს 1825 წლის 25 მარტს, ძველი სტლით) ყიზილბაშთა თავსა. ყარჩხა-ხან ხარდარი და უსუფ-ხან შირვანის ხანი და სხვა ხანები და სულთნებიც მრავალი დახოცენ...“ (პარიზის ქრონიკა, გვ. 91).

კიდევ ბევრი ამბის დამოწმება შემიძლია, მაგრამ ვფიქრობ, ესეც კმარა. ოღონდ ერთი ნაწყვეტი მხატვრული ნაწარმოებიდანაც უნდა მოვიტარო. ალბათ, ყველას გახსოვთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „სარჩობელახედ“, აი, ის მომენტო, ორმა ობოლმა ბიჭმა — ბეჟანმა და მისმა ძმამ — გულკეთილ პეტრეს ღამით ჯიბეები რომ ააქრეს და გასპარნენ: „...საქონელ-გამოშვებულნი ღვინის ურმები იდგნენ მწყრივად **ლოკინის** ხევის პირას. ხევში წყალი გოლვისან-გან იხე მიღუღიყო. რომ ძლივს და მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ... ორიოდ ბიჭი, კალთებაწეულნი იდგნენ გუბის პირას და ხის ჯამებით ახსამდნენ წყალს პირდაღებულს, დახიეულს კამჩებ-სა, რომელნიც გუბეში ეყარნენ“.

არა, არა, პატივცემულო ნიანგო, ნუ გაგეცილება და ძალიან ვთხოვ, სხვებიც ნუ დაიწყებენ ხითხითს: თუ „ძლივს და მოიპარებოდა ქვებთა შორის რიყეზედ“, ეგ რა მდინარეა, ნეტავი რას გვეტრაბახებო. ყველას ძალიან ვთხოვ, ყური კარგად დამიგდონ. მე ხომ ჩემი სატიკიერი ბოლომდე არ მიტევათ? თანაც მაშინ, როცა მწერალმა გულმართალი პეტრე ქალაქში წამოიყვანა, დიდი სიციხე იდგა და წყალი ყველა მდინარეს აკლდა. მეორედ, მე ხომ მაშინ ჩემს ხეობაში გაშენებულ ბალ-ვენახებს ვრწყავდი, ამიტომ აღარ იყო ხევში წყალი. ახლაც ვრწყავ, მაგრამ, ეპ! ვიღამ შემარჩინა ის ბალ-ვენახები, ან ის კამკამა წყალი?! უსულგულად აღამიანებმა ყველაფერი გააპარტახეს!.. ილიას დროს კი არა, აგერ ამ ორმოციოდე წლის წინათაც კი აქ, ჩემს ხეობაში ოცდაათზე მეტი წისქვილი ტრი-ალებდა. ახლა?!

— ისევ დაიწყო ბაქიბუქი! — ვგძრნობ, რომ ვილიცას ეცილება. ეპ, სადა მკალია სატრაბახოდ, როცა ჩემს სახელს ასე წაღმა-უკუღმა დაარბენინებენ და აბუჩად მიგდებენ, თან კი ჰგონიან, პატივსა მცემენ.

კახეთის მატარებლებს თუ გამოჰყვებით, ლილოს იქით, ხილი!


ყურთან წაიკითხავთ: „რეჩა ლოჩინო“. შევეყურებ ამ წარწერას და გული მიკვდება, ვილიცამ, თანაც ჩემიანმა, თავისი დაუდევრობით „ლოჩინოდ“ მაქცია. რატომ, რისთვისაო? არა, მარტო იმას კი არა ვჩივი, რომ სახელი დამიზნინა, საეალალო ისაა, რომ აქ სულ სხვა სახელწოდება — **მარტყოფისწყალი** — უნდა ეწეროს! უფრო გასაგები რომ იყოს, ყველაფერს გეტყვი. ჩემი — მდინარე **ლოჩინის** — მდგენელი, როგორც გეოგრაფები იტყვიან. ძირითადად სამი მდინარე (ხევი) გახლავთ: **მარტყოფისწყალი**, **ნორიხევი** და **საცხენიხევი**. მაგრამ მოდი, უფრო დამაჭერებელი რომ იყოს, ვახუშტი ბატონიშვილს დავეკითხოთ. „ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის არს მარტყოფი. გამოხდის წყალი მისი ამასვე მთას. საცხენისიხევიამდე — მარტყოფისა. ხოლო მას ქუთით მტკურამდე უწოდებენ აწ **ლოჩინსა**. არამედ ძუე-ლად ეწოდა **ოშანისხევი**... ერთვის ამვე **მარტყოფისწყალს** ხევი (ნორიხევი). გამომდინარე კუხეთის მთისა“, — წერს დიდი მეცნიერი (ქცხ, IV, გვ. 537-38).

პატივცემულო ნიანგო, როგორც ვხედავთ, ყველა ჩემი მდგენელი მდინარე (ხევი) კუხეთის მთის (ახლანდელი იალნოს) სამხრეთ კალთებიდან მოედინება. **მარტყოფისწყალს** მარჯვენა მხრიდან უერთდება **ნორიხევი**, რამდენიმე კილომეტრის შემდეგ კი მარცხენა მხრიდან — **საცხენიხევი**. მერე რაღაც ნახევარ კილომეტრს რომ გამოივლის ეს **მარტყოფისწყალი**, ვიწყებო მე — მდინარე **ლოჩინი**. ადრე **ოშანისხევიც** მერქვა, ოღონდ როდის ან რატომ შემეცვალა სახელი, ამჯერად ვერ გეტყვით, ასეთი რამ მარტო მე არ დამმართია, სხვაგანაც ბევრია მაგალითი. ვილიცამ კი, არ ვიცი გზის მშენებლებმა თუ ავტონისექტორებმა, ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემს ერთ-ერთ მდგენელს — **ნორიხევს** — მიაწერა „მდ. **ლოჩინი**“. უეკირდა გამვლელსა და გამომვლელს, დაობდნენ, ჩიოდნენ!.. მერე ვილიცამ მოგოჯა ეს წარწერა და ხევში მოისროლა!.. ახლა იქ საერთოდ აღარაა წარწერა, თითქოს მდინარე აღარ არსებობდეს. წარწერა „**ლოჩინსა**“ კი უფრო ზემოთ გადაინაცვლა, **ნორიხევის** ერთ-ერთ შენაკადზე — **ფაშატრიხევეზე**. აბა, მასხარად აგდება მეტილა გინდათ!

ამათ უვიციობაზე გაბრაზებულმა ენციკლოპედია მოვნახე. მაინტერესებდა, იქ რაღა ეწერა მასზე. **ლოჩინი**, **საცხენისი**. მდინარე გარდახნის რ-ში. მტკვრის მარცხ. შენაკადი“. ვაი, სირცხვილო, თურმე **საცხენისიც** მრქმევი. **საცხენისი** ხომ სოფლის სახელია! არა, ამ დალოცვილებმა რაღა ჩემი ყველაზე პატარა მდგენელის სახელი მიწოდეს (თანაც დამიზნინებულად!). იმ შენაკადისა, რომელიც ამ ბოლო დროს ყველაზე მეტად მწამლავს და მფუქებს?! ადრე კარგი წყალი მოდიოდა ამ საცხენიხევეზე — ცივი, ანკარა, ყველგან რომ დილიდობა. ახლა? ახლა, რაც აქ, ამ ოცდაათი წლის წინათ ქურქ-ბეწვეულის ფაბრიკა ააშენეს, საიდანაც დაბინძურებული წყალი გამოედინება, ამ ხეობაში ყველაფერი მოიწამლა. თევზის ნასახიც ხომ დიდი ხანია აღარავის უნახავს. ეს წყალი რამაც კი დალია, მსხვილფეხა საქონელი იყო თუ წვრილფეხა, ყველა დაიხოცა!..

პატივცემულო ნიანგო! მგონია, მიმიხვდით გულისტივილის. მე სხვისა არაფერი მინდა, თუნდაც იგი ჩემი ძმა იყოს. ყველას თავისი სახელი უნდა ერქვას! ჩემს მდგენელებს ხომ აქვთ თავიანთი სახელები: **მარტყოფისწყალი**, **ნორიხევი**, **საცხენიხევი**, **ფაშატრიხევი**, **ალიხევი**, **ტევალი**... ამიტომ მათ, ვინაც ამ საქმის გაკეთება ევალებათ, კეთილი ინებონ და წარწერებიც სათანადო გაუკეთონ, მე კი ჩემი სახელი დამიბრუნონ!

შენი პატივისცემული და მოიმედე
მდ. **ლოჩინის** სახელით —
უშანგ სახლთისუცნიშვილი



ნახ. მ. კუციასი

33

ენაურისაირული სუბროჯები

შალვა ჭოჩუა ბაზარში წავიდა, იქნებ ხელსაყრელ ფაქტში მეწველი ძროხა ვიყიდო და სიყმილით ღონეზობილი ცოლ-შვილს ვუშვილო.

- რა ღირს თქვენი ძროხა, ბატონო? — ჰკითხა ერთს.
- გამყიდველმა პასუხი გასცა.
- ძვირია, თქვენი კირიმე!
- არ არის ძვირი, სინდისს გეფიცებით, მთლად ცხიმანია რძე, წაქა სულ ცოტა რჩება, უმეტესი ნაწილი უველი ამოდის!
- ვერ მოვრიგდებით! წაქა ჩემი, თორემ უველი კოლეტივს მიაქვს დამზადებაში! — თქვა შალვამ და ბაზარს გაეცალა.

* * *

პრთხელ ზნეცუდი ღორი წაიყვანა შაღვამ ბაზარზე.

- რა ღირს თქვენი ღორი, ბატონო? — იკითხა ერთმა.
- სამას მანეთს კაპიკი არ დააკლდება! — მიუგო შალვამ.
- ძვირია, ბატონო!
- თქვენი ჭიბის ამბავი თქვენ იცით!
- ზნე როგორი აქვს? — იკითხა ახლა მყიდველმა.
- ზნეო? ზნე ისეთი აქვს, თეფშზე პირს არ დააკარებს, ხანამ შენ არ ეტყვი, მიირთვი სადილიო!
- ას ორმოცდაათი რომ მოგცე? — შეევაჭრა ის კაცი შალვას.
- არ იქნება, ბატონო!
- ამა, ორასი იყოს, მეტი არ ღირს!
- გადამრევს ეს კაცი ორასი მანეთის წიწილები აქვს შეკმული მაგ სამგლეხ და თავად კაპიკი არ ღირს?! — გადაულაპარაკა შალვამ გვერდით მდგარ ნაცნობს.

* * *

შალვა და პარმენი ენგურზე გადასახველი ფონს ეძებენ.

- ამა, ვიპოვე! აგერ ჩასულა წყალში ვიდაცა! — წამოიძანა შალვამ და ჰვიწაზე დარჩენილ ადამიანის კვალს დააკვირდა.
- შენ გაღმა გასულის კვალი მაჩვენე და ფონს მერე ვენდობი! — მიუგო შალვას მეგობარმა.

ჩაიწერა იპოლიტა ბაშნასურდიან



უსიტყვოდ

ნახ. ბ. ჯუბაშვილისა

მარგალიტი

პ ა ტ რ ა ვ ე რ ა ბ ი

ი უ მ ო რ ა ხ ს ა

თუ წინამდებარე ნაშრომს მეცნიერული თვალთახედვით განვიხილავთ, იგი ჩემს სადოქტორო დისერტაციად უნდა ჩათვალოს, რადგან საკანდიდატო, ამავე თემაზე, უკვე გამოვაქვეყნე ამავე ჟურნალში ამ ოციოდე წლის წინათ, რომელშიც განვიხილავდი, თუ რაოდენ სირთულეებს შეიძლება წააწყდეს კაცი, რომელმაც ახალი მაგიდის შექმნა გადაწყვიტა. (ვახო რცხილაძე, „მაგიდა“, 1971 წ., № 18., გვ. 3).

ამას გარდა, წინდაწინ მინდა გავაფრთხილო ჩემი ოპონენტები: ბატონებო, უმორჩილესად ვთხოვთ ალტერნატიული თვალსაზრისის მოძებნაზე ტყუილად ნუ შეიწუხებთ თავს, რადგან 1990 წლის 28 ოქტომბერს, არჩევნებში „მრგვალ მაგიდას“ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ჩემი ამჟამინდელი კვლევის ობიექტი — მრგვალი მაგიდა — განიხილება როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით.

პირდაპირი მნიშვნელობით კვლევის ობიექტი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. მ რ გ ვ ა ლ ი
2. მ ა გ ი დ ა

განვხილოთ ცალ-ცალკე:

მ რ გ ვ ა ლ ი — ეს არის გეომეტრიული სხეული, ანუ ხაზი, რომლის ყველა წერტილი ერთნაირად არის დაშორებული ცენტრიდან.

მ ა გ ი დ ა — ეს არის ავეჯის გარნიტურის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში იდგმება სასტუმრო ოთახის ცენტრში. მაგიდა მზადდება მუხის, წითელი ხის, გაურანდავი ფიცრების და სხვა ანალოგიური მასალისაგან. მაგიდის ძირითადი დანიშნულებაა ზედ ხორავის დახვევა, მის გარშემო სტუმრების დასხმა, ყანწებში ღვინის ჩასხმა და სმისაგან სტუმრების თავბრუდარსება!..

ასრებობს მაგიდების უამრავი ნაირსახეობა: დირექტორის მაგიდა, სამზარეულოს მაგიდა, საოპერაციო მაგიდა და, რაც მთავარია, საწერი მაგიდა. ყველა გენიალური მეცნიერული თუ ლიტერატურული ნაწარმოები საწერ მაგიდაზე არის შექმნილი. რაღა თქმა უნდა, მათ შორისაა ჩემი წინამდებარე მოკრძალებული ნაშრომიც („თავის ქება — კიტრადაო!“ — უთქვამთ წინაპრებს, მაგრამ კიტრი მაშინ, ალბათ, იაფი იყო!).

კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ხანაში მაგიდის მაგიერობას წევდა დიდი ლოდი, ხის მორი, კუნძი, ღვინისა თუ ლუდის კასრი (ეს ორი უკანასკნელი სახელდახელო „მაგიდა“ დღესაც ხშირად გამოიყენება, განსაკუთრებით რუსეთში).

სავარაუდოა, რომ პირველი მაგიდა საქართველოში ჩვენმა წინაპრებმა გამოიგონეს — აიღეს კარგად გარანდული ხის გრძელი ფიცარი, ოთხ ტოლ ფეხზე დაამაგრეს, ოთახის შუაში დადგეს და ტაბლა დაარქვეს. ისიც არ არის გამორიცხული, რომ საქართველოში სტუმრად მყოფმა ინგლისელებმა ტაბლა რომ იხილეს, გადაირიგნენ ქართველების გამჭრიახობით, ერთი ტაბლა თავისთვის შეგვიკვეთეს, თავის სამშობლოში წაიღეს და იქ სერიულად გაამრავლეს. ინგლისში ნებისმიერ მაგიდას დღესაც ტაბლა ჰქვია (**table [teibl]** — ინგლ. მაგიდა). ჩვენში კი ცივილიზაცია ისე განვითარდა, რომ ტაბლას ჭერ მაგიდა დავარქვით, მერე ესეც არ ვიკმარეთ, რუსები ჩვენზე უფრო ცივილიზებულ ხალხად ჩავთვალეთ და ქართველი ხალხის უმრავლესობამ მაგიდას სტოლი დავარქვით (**Стол** — რუს. მაგიდა).

გადატანილი მნიშვნელობით მაგიდა იხმარება სავაქრო ქსელში (შეკვეთების მაგიდა). იქ მაგიდა კი არა — დახლია. სიმპათიური გარეგნობის მანდილოსანი ჩაიწერს შენს მიერ ნაკარნახევ ნებისმიერ სურვილს. დაწერს, რომ შენ გასურს შეიძინო, მაგალითად, უნიკალური წიგნი, იმპორტული ვიდეომაგნიტოფონი, ხიზილალი, დამი და ა. შ. მიხვალ მეორე დღეს და მოგართმევენ („მ ო გ ა რ თ მ ე ვ ე ნ“ — აქაც, რაღა თქმა უნდა. გადატანილი მნიშვნელობით არის ნახმარი).

რაც შეეხება მრგვალ მაგიდას, ეს უკანასკნელი ნიშნავს თავშეყრის ადგილს, საათობროს, სადაც პაექრობის ნებისმიერ წვერს აზრის გამოთქმის ერთნაირი უფლება ენიჭება, ანუ, მოცემულ ვითარებაში, ყველა, როგორც ერთი, იღვწის საქართველოს თავისუფლებისათვის.

დაბოლოს, როგორც პირდაპირი, ისე გადატანილი მნიშვნელობით, თუ ყოველივე ზემოთქმულს დავამრგვალებთ, იმას რასჯობს, როცა მრგვალ მაგიდას უზიხარ მეგობრების ვიწრო წრეში (**წრეც ხომ მრგვალია?!**), მანავის მწვანით სავსე, მომრგვალებული ყანწი გიჭირავს და მეთორმეტე ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ — გამარჯვებას აღდგებრძელბ!

მაშ, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ვახო რცხილაძე



— იქით ნუღარ გავცურავთ, თორემ მაგათი სასურსათო გასაჭირი რომ ვიცი, აუცილებლად გავგაბამენ ბაღში!

ნახ. ბ. კეტირაშვილისა

ინტელიგენტი

მეზობლებთან მე ყოველთვის კარგი დამოკიდებულების მომხრე ვარ! საკამათოს და საჩხუბრის მეტი რაა, მაგრამ მეზობელს არასოდეს ვეკამათებ. რატომ? ჩვენ ხომ, ამხანაგებო, ინტელიგენტები ვართ?

ერთ საღამოს სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი. სადარბაზოში შევედი, მოაჯირს ხელი შევახე და კიბეზე ასვლა დავიწყე. მეზობლის მოხუცი ქალი მოაჯირს დაურდობოდა და დაბლა ჩამოდიოდა. წესით, იმას უნდა დაეკავებინა მარჯვენა მხარე. ხომ ასეა? ის კი, პირიქით, ჩამოდის და გზას არ მითმობს! მოხუცია, მაგრამ არც მე ვარ ახალგაზრდა, ახლანა გავნდი ოცდაათის. ჰოდა, ასე. ის ქალი ჩამოდის. მე ავღვივარ. ადგილს არ მითმობს. მოულოდნელად ეს ამსიქე ქალი წინ გადამეღობა და, რაც შეეძლო, გვერდზე გამწია. „რამ გადარია-მეთქი“, — გავიფიქრე. იმისთვის არაფერი მიკადრებია, თავი შევიკავე, გავუცინე, ხელი მოვკიდე და განზე გავწიე. პასუხის ნაცვლად ბეზიამ ისე შემომხედა, ვითომ ვერ მიცნო. მართალი თუ გინდათ, კი იყო ღირსი, ისე ჩამებრძანებინა ძირს, რომ საკუთარი ფეხებისთვის გაეხწრო, მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ ხომ ინტელიგენტები ვართ? ალბათ, მოხუცებაც ეს გაიფიქრა და განზე გადგა. არც მე ჩამოვრჩი ზრდილობაში, ადგილზე დავუთმე და შემოთ ავედი. აი, რას ნიშნავს ინტელიგენტი ხალხი!

მეორე დღეს დაბარებულივით ისევ იმ ადგილას შევხვდით. ვდგავართ და უსიტყვოდ შევეყურებთ ერთმანეთს თვალბეზი. მოულოდნელად ეს ბომბივით ქალი მეხვივით შემოტრიალდა და მთელი ძალით გვერდზე გამწია. ვალში არც მე დავრჩი, მაგრამ ისე დავცილდით, ერთი ცუდი სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. აბა, ხომ არ ვიჩხუბებდით ეს ინტელიგენტი ხალხი?

გუშინ ქვემო სართულიდან მეზობლის გამბდარმა ქალმა მომაკითხა. ყურებზე წითელი საყურეები ეკეთა. ბინაში შემოსვლისთანავე ჩემი თოთხმეტი წლის ბიჭის საყვედური მომახალა:

— თქვენი გაა საფოსტო ყუთების კლიტეებს ამტვრევს!

ვუყურებ იმ ქალს და ჩემდა უნებურად ვფიქრობ: „რა სულელი ხარ, შე უბედურო! შენ არა გუავს შვილი? ან არ ყოფილხარ პატარა? რომ ამბობ, ამტვრევსო, ითამაშოს ბავშვმა და, რომ მოწყინდება, დაანებებს თავს! იყიდე ახალი კლიტე და ჩამოკიდე,

შე კარგო ადამიანო! ფული თუ არა გაქვს, დაგეხმარები!“

ქალი ჩიუტად განაგრძობს:

— თქვენი გაა შუალამემდე მაგნიტოფონს აღრიალებს, არ გვაძინებს!..

— ბავშვმა ახალი კასეტი იყიდა და, აბა, რა ქნას? — შევაპარე მე.

— უთხარით რამე, დაარიგეთ! — განაგრძობს მოსული.

„რა უნდა ვუთხრა ბავშვს, — გუნებაში ვფიქრობ — ნეტავი ერთი შენთვის მათქმევინა ის, რასაც ვფიქრობ!“ მაგრამ ჩვენ ხომ ამხანაგებო, ინტელიგენტები ვართ?

ღილით მეზობელი სადარბაზოდან გაჩაგრებული, ხანში შესული კაცს გამომეცხადა. გაცვეთილ პალტოში ხაწყალი ისე გამოიყურებოდა, ცოდვით დაიწვებოდა.

— თქვენი გაა მეხუთე სართულიდან ბოთლებს ყრის! — თქვა მან. „სულელი არა ხარ? — გულში გავივლე მე, — შე კარგო ადამიანო, შეგეგროვებინა ის ბოთლები და ჩაგებარებინა მალაზიაში. ბოთლებსაც მოიშორებდი და ფულსაც აიღებდი!“ მაგრამ ამდენი ჭკუა ვინ მისცა! როგორ უყვართ ბავშვების დაბეზლება და სხვისი შვილებისათვის ჭკუის სწავლება! გუშინ ბავშვმა ორი კვირის ნაყიდი იაპონურ ვიდეო გატეხა და არაფერი გვითქვამს! რა მოხდა მერე, ხომ არ მოვკლავთ ბავშვს? მაგრამ ამ უტყენო კაცს რას შეაგნებინებ! გამოვადე კარები და გავაბრძანე სადარბაზოში. აბა, ჩხუბს ხომ არ დავუწყებდი ინტელიგენტი კაცი?

ამ ორი დღის უკან, ქვემო სართულიდან კვლავ მესტუმრა მეზობელი მოხუცი კაცი, ერთი შეხედვით სიმპათიური, თეთრწვერა.

— თქვენი ბინიდან წყალი ჩამოდის! — თქვა მან აშკარა საყვედურით.

„მერე რა მოხდა? — გავიფიქრე მე, — არც ისე ხშირად ხდება ხოლმე ეს ამბავი. ამ თვეში სულ მეოთხე თუ მეხუთე შემთხვევაა, ზუსტად არ მახსოვს!“

ის კი მაინც თავისას იმეორებს:

— ამდენი წყლისაგან შუქი გამოირთო ბინაში. ორი დღეა, უსინათლოდ ვართ!

„მეტ ხანს იქნებით, თუ არავის სთხოვეთ შეკეთება!“ — გავიფიქრე მე.

მოხუცის წვრილი თვალეები გაკვირვებულად მომშტერებია.

ხელეები მთხოვს, ავწი და ერთი კარგად შევანჯღრიო დაუპატეხებელი სტუმარი, მაგრამ ჩვენ ხომ, ამხანაგებო, ინტელიგენტები ვართ?



სატირიკისა და იუმორის ეურნალი „ნიანბი“ №6 (1832), მარტი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ზოლგაძე

სარედაქციო კოლეგია.

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვახუა ამირეჯიბი, ნოზა ბართაია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი). ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე ხაჩიკონია, ბეჟან სხარულაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწიაძე.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნღუა

გადაეცა ასაწყობად 25. 02. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 04. 91 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. საღარიცხო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლო“. შეკვ. №400. ტირაჟი 70.000. ეურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პარკი № 42.

ტელეფონები: მთავარ რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილება გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაების — 99-02-38, მდივან-მე მ ა ნ ქ ა ნ ი ს — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИ-АНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло». ул. М. Костава № 14.

ფასი 40 კაპ.

ინდექსი 78187

მთავარი ინსტაქცია

